საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 11670/01
10/11/2021

11670-01-2-202111101427

შპს „ლოკოკინების იტალიელ ფერმერთა კონფედერაცია კავკასიაშის“

მის: საირმის გორა N73

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა N11448 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება აბაშის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნოქალაქევში სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წყალაღების კვეთში მდ. აბაშის მინიმალური ხარჯები და ინფორმაცია მდ. აბაშის წყალმომხმარებელთა შესახებ;
- წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, საქმიანობა ითვალისწინებს წყლის სატუმბი დანადგარის (ორი ერთეული ტუმბო) მოწყობას, თუმცა დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული ტუმბოების განთავსების GPS კოორდინატები, ასევე მათი ტექნიკური პარამეტრები. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს სამელიორაციო სისტემის მოსაწყობად გამოსაყენებელი მილსადენების გაყვანის სქემა, მათი განთავსების ადგილი (მიწისზედა/მიწისქვეშა), რაც აგრეთვე დატანილი უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიის გენ-გეგმაზე;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია 400 მ³ მოცულობის რეზერვუარის მოწყობა, თუმცა, დასაზუსტებელია საპროექტო რეზერვუარის ადგილმდებარეობა (GPS კოორდინატები). ამასთან, დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული რეზერვუარის ტექნიკური პარამეტრები (ტიპი, ზედაპირის ფართობი, განთავსება - მიწისზედა/მიწისქვეშა);
- იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ფარგლებში დაგეგმილია, მიწისქვეშა რეზერვუარისა და მილსადენების მოწყობა, სკრინინგის განცხადებაში შეფასებული უნდა იქნეს ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება, ამასთან, აღნიშნული სამუშაოების პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების შემდგომი მართვის საკითხი;
- სკრინინგის განცხადებაში შეფასებელი უნდა იყოს საპროექტო ორი ერთეული ტუმბოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ხმაურით გამოწვეული კუმულაციური ზემოქმედება. ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია ელექტრო ტუმბოების მოწყობა, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის ელექტრომომარაგების შესახებ;

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკისა და დაგეგმილი სამუშაოების ხანგრძლივობის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით განახლებული განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე